საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3272
03/05/2023

3272-21-2-202305031719

შპს „პოლიპლასტს“
მის: ქ. თბილისი, გლდანი, ჯანჯღავას ქ. №30
ელ.ფოსტა: Giorgi_vakhtangishvili@yahoo.com Mose.b@gergili.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1980 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ზღვისუბანის დასახლებაში, ისააკიანის ქ. №1-ში არსებული პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი ხაზის (ნარჩენების აღდგენა) წარმადობის გაზრდა 89.6 ტონიდან 112 ტონამდე, საიდანაც, მიღებული გრანულები გამოყენებული იქნება ობიექტზე არსებულ გრანულების გადამამუშავებელ ხაზზე. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოში პოლიეთილენის გრანულების გადამუშავების ხაზის წლიური წარმადობა მცირდება 190.4 ტონიდან 126 ტონამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს, გრანულების გადასამუშავებელი ხაზის წლიური წარმადობა საწარმოში შემოტანილი და ადგილზე წარმოებული გრანულების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ასევე ასახული უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო